# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

## 2025 წლის საქმიანობის
## ა ნ გ ა რ ი შ ი

2026 წელი

## შესავალი

წინამდებარე ანგარიში შემუშავდა კომიტეტის 2025 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და მისი შედეგების ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტის მიზანია შეაჯამოს კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები და მიღწეული შედეგები. ანგარიშში წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია კომიტეტის შესახებ, ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია კომიტეტის კანონშემოქმედებითი, საზედამხედველო და წარმომადგენლობითი საქმიანობის შესახებ. შეჯამებულია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომიტეტის მთავარი მიღწევები და გამოწვევები.

# 1. ზოგადი ინფორმაცია

### 1.1 კომიტეტის საქმიანობა

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხა კომიტეტი, (შემდგომ - კომიტეტი) უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი და მუდმივმოქმედი სუბიექტია, რომლის მიზანია საბიუჯეტო სფეროში საკანონმდებლო და საზედამხედველო საქმიანობის სრულყოფილად და ეფექტიანად განხორციელება, რაც მოიცავს:

- საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას;
- უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შესრულების ხელშეწყობას;
- ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლს.

თავის საქმიანობას კომიტეტი წარმართავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, კომიტეტის დებულებითა და კომიტეტის 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში. **კომიტეტი ეფექტიანად უზრუნველყოფს საბიუჯეტო პროცესს, რომელიც პასუხობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის საჭიროებებს.**

### 1.2 კომიტეტის შემადგენლობა

კომიტეტი დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს კომიტეტის 5 წევრისა და აპარატის 5 თანამშრომლის შემადგენლობით.

საანგარიშო პერიოდში საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი განსაზღვრული იყო შემდეგი შემადგენლობით:

**კომიტეტის თავმჯდომარე** - მარინე გვიანიძე

**კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე** - ლაშა სირაბიძე (7.02-28.10.2025წ)

**კომიტეტის წევრი** - რამაზ ჯინჭარაძე(12.12.2025-31.12.2025წ)

**კომიტეტის წევრი** - გოგი ფუტკარაძე
**კომიტეტის წევრი** - არჩილ სამნიძე (29.10.2025-31.12.2025წ)
**კომიტეტის წევრი** - ტიტე არუშიძე (01.01. -29.01.2025წ)
**კომიტეტის წევრი** - მამუკა თურმანიძე (10.02-31.10.2025წ)
**კომიტეტის წევრი** - ნადიმ ვარშანიძე (11.11.2025-- 12.12.2025წ)

## 2. კომიტეტის სტრატეგია და ძირითადი მიმართულებები

### 2.1 სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები

წინამდებარე საანგარიშო პერიოდი მოიცავს იმ აქტივობებს, რაც კომიტეტმა განახორციელა 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ეფექტიანი და კოორდინირებული საქმიანობისათვის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 43[1]-ე მუხლის შესაბამისად, კომიტეტმა წლის დასაწყისში ვალდებულებათა მონიტორინგისა და მისი შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა და დაამტკიცა სამოქმედო გეგმა. გეგმა მოიცავდა კომიტეტის სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს და იმ აქტივობებს, რაც აუცილებელია დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. გეგმის განახლებული ფორმატი არის შედეგზე ორიენტირებული და შეესაბამება საჯარო მმართველობის სტანდარტებს.

წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, სტრატეგიული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იყო 29 აქტივობა. აქედან, შესრულების ანალიზის შედეგად, სტატუსები ასე გადანაწილდა: ✦ განხორციელდა - 28 აქტივობა; ✦ შესრულების პროცესშია - 1.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა:




### 2.2 კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იყო:




## 2. 2.1 კანონშემოქმედებითი საქმიანობა

კომიტეტის საქმიანობა მიმართულია საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწის, გამარტივების, სრულყოფის და პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე სხვა საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორებისკენ. ამ კუთხით კომიტეტი შეიმუშავებს განიხილავს და უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომისთვის ამზადებს კანონების, დადგენილებების და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტებს, ასევე მონაწილეობს უმაღლეს საბჭოსთვის წარდგენილი საკანონმდებლო აქტების განხილვა შემუშავებაში, ამზადებს დასკვნებს.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბიუჯეტო პროცესი. რესპუბლიკური ბიუჯეტი რეგიონის მთავარი დოკუმენტია, რომლის როგორც მიღების, ისე ზედამხედველობის პროცესს ხელმძღვანელობს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

რეგლამენტის შესაბამისად, 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა ორჯერ. კომიტეტმა ასევე განიხილა ბიუჯეტის შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტი და რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით სხვა კომიტეტების, ფრაქციების, აუდიტის სამსახურის, უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრების, იურიდიული და ადამიანური რესურსების მმართვის დეპარტამენტის დასკვნები. ამ დასკვნების, საკუთარი შენიშვნებისა და მოსაზრებების საფუძველზე მოამზადა საბოლოო დასკვნა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი უპრეცედენტოა, რადგან მან მილიარდიან ნიშნულს გადააჭარბა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა როგორც ახალი კანონპროექტის შემუშავება და ინიცირება, ასევე სხვა საკანონმდებლო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა.

განხილულია და შემუშავებულია შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- *№28-რს 26.02.2025 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;*
- *N 32-IIს 29.05.2025 ,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის თაობაზე;*
- *N33-IIს 29.05.2025 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ;*
- *№54-Iს 24.12.2025 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ"აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თაობაზე.*

კომიტეტს განხილული აქვს საქართველოს პარლამენტიდან შემოსული საფინანსო-საბიუჯეტო სფეროსთან დაკავშირებული კანონპროექტები.

### 2.2.2 საზედამხედველო/საკონტროლო საქმიანობა

უმაღლესი საბჭო, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის მეშვეობით ახორციელებს საერთო, თანამიმდევრულ კონტროლს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაზე.

საზედამხედველო ფუნქციების გაუმჯობესების მიზნით კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში განახორციელა ავტონომიური რესპუბლიკის უწყებების საბიუჯეტო მონიტორინგი და ფინანსური ზედამხედველობა.

- უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი.
- სამოქმედო გეგმის ფარგლებში კომიტეტმა მოისმინა სხვადასხვა უწყებების ანგარიშები. კერძოდ:

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში;**

**› აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2026-2029 წლებისათვის;**

**› „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება;**

**› ყოველკვარტალურად განიხილა რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა ნაზარდი ჯამით.(პირველი, მეორე და მესამე კვარტალი);**

**› სსიპ „ბათუმის ბულვარის“ 2024 წლის საქმიანობის ანგარიში და მიმდინარე წელს ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით გაწეული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;**

› აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება „აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში და ინფორმაცია მიმდინარე წლის ტურისტული სეზონის მზადებასთან დაკავშირებით;

› აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაცია „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის“ პროგრამის ფარგლებში 2025 წლის განმავლობაში შესრულებული პროექტების შესახებ.

### 2.2.3 საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაცია და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა

კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობას და მასში საზოგადოების დაინტერესებული წევრების ჩართულობისთვის სათანადო პირობების შექმნას. ამ მიზნით, კომიტეტი ყოველწლიურად ანახლებს სამოქმედო გეგმას, რომელიც საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სატელევიზიო და ონლაინ მედია საშუალებებთან, საქართველოს სამთავრობო დაწესებულებებთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებთან, მუნიციპალიტეტებთან. ოპერატიულად უზრუნველყოფს კომიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას და მასალების დროულად განთავსებას კომიტეტის ვებ გვერდზე.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის თავმჯდომარეს, მარინე გვიანიძეს, მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა სახის სემინარებში, ფორუმებში, კულტურულ თუ განმავითარებელ ღონისძიებებში.

### 2. 2.4 კომიტეტის ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება

განსაზღვრული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია კომიტეტის წევრებისა და კომიტეტის აპარატის მჭიდრო თანამშრომლობა დასახული მიზნების გარშემო. კომიტეტს აპარატის თანამშრომლებს შორის ფუნქციები და ამოცანები ოპტიმალურად არის განაწილებული, ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სემინარების საფუძველზე მუდმივად ხორციელდება აპარატის თანამშრომელთა უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაზრდა.

## 3. სტატისტიკური მონაცემები

### *3.1 კომიტეტში შემოსული და გასული კორესპოდენციის სტატისტიკა*

საქართველოს პარლამენტის აპარატიდან, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებებიდან, დაწესებულებებიდან, უმაღლესი საბჭოს და უმაღლესი

საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან, აგრეთვე მოქალაქეებიდან კომიტეტში სულ შემოსულია 280 წერილი და განცხადება. გაზავნილია 81 წერილი.

კომიტეტის წევრებისა და კომიტეტის აპარატის თანამშრომლების მიერ შემოსული კორესპოდენცია იყო კონტროლზე აყვანილი, შესწავლილი და განხილული. განცხადებების დიდი ნაწილი რეაგირებისათვის გადაეცა შესაბამის უწყებებს, საიდანაც მიღებულია პასუხები მათ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე. აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობით დადებითად იქნა გადაწყვეტილი არა ერთი პრობლემური საკითხი.

*3.2. მიღებული მოქალაქეების რაოდენობა*

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის წევრების მიერ ოფიციალურად მიღებულია 36 მოქალაქე.

კომიტეტი ვადების დაცვით ახორციელებს ყველა ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის შესწავლას, ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს შესაბამისს რეაგირებას.

## 4. სამომავლო პერსპექტივები

ა) ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესების დახვეწა;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის აპარატებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე ეფექტური, კოორდინირებული კანონშემოქმედებითი საქმიანობას უზრუნველყოფა, საკანონმდებლო ორგანოების კომიტეტებს, კომიტეტის აპაარატებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, გამოცდილების გაზიარება;

გ) გასვლითი სხდომების ორგანიზება მუნიციპალიტეტებში მდგომარეობის უკეთ გაცნობისა და პრაქტიკული მხარდაჭერის მიზნით;

დ) საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება ეკონომიკური დარგების მარეგულირებელ კანონებში ცვლილების შეტანის გზით;

ე) ანგარიშების მოსმენა საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლისა და საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

ვ) კომიტეტი იზრუნებს სამუშაოდ სპეციალური ცოდნის მქონე ექსპერტების მოწვევაზე, რომლებიც იმუშავებენ კომიტეტის აპარატთან ერთად და ხელს შეუწყობენ კომიტეტის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერებას.